# დროება

ყოველდღიური სააოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 218 შაბათი, 3 ოქტომბერი 1909 წ. № 218

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ გზავნიან. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანად: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


26 სექტემბერს ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მოსკოვში უმაღლეს ტეხნიკური სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტი 19 წლის

## ბარის ალექსის ძე კალპაკოვი,

რასაც განუსაზღვრელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მისი გულ-ჩაკლული დედა **ევა დიმიტრის ასული კალპაკოვისა.**

პანაშვიდი სახლში საღამოს 7 საათზე, შაბათს, ამ თვის 3-ში, ბებუთოვის ქუჩა, № 8. კვირას ამ თვის 4-ში წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 სათზე. (1—470—1)

**ეკატერინე ილიკოს ასული ერებკოვისა და თავადი ილია ილიკოს ძე დადიანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ დედის

## კნ. ერნესტინე მაქსიმეს ასული დადიანისას,

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 4 ოქტომბრისთვის სოფ. მოიდანახეს, ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბერნია. (2—ფ.—1)

**წარმოდგენა № 3.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 3.**

**კვირას, 4 ოქტომბერს, 1909 წელს**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ქ-ნ ან. ჩირგაძის და ნ. კოლხიდელის მონაწილეობით** პიესა ა. ოსტროვსკისა

## „უდანაშაულოდ დასჯილნი"

5 მოქ. თარგ. ივ. მაჭ. ვარიანისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ნ. კოლხიდელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი. ე. ჩერქეზიშვილი, ან. ჩირგაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარ-ადლიშვილი ვ. ჭმატარაძე, ი. ქივიიძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „ფარისეველი", „დამბაჩა და რევოლვერი".

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**კვირას, 4 ოქტომბერს, 1909 წ.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

## „შემოსავლიანი ადგილი"

კომედია 5 მოქმედებად ოსტროვსკისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათ საღამოს, 15 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი" სუმბათაშვილისა, „ექიმი შტოკმანი" იბსენისა და სხვ.

დაბეჯითებათა გთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—2) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

**შავი-ქვის** მრეწველთა სამმარ კრების თავმჯდომარის, სამთო-მადნო მე-12 ოლქის უფროსის თანაშემწის, დ. ს. ს. მარიან ივანეს ძე ჩენგერის წინადადებით, მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1909 წლის 30 ოქტომბრისთვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია

## მე-12 მორიგი კრება შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველებისა.

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. განხილვა საბჭოს და კომისიის ანგარიშებისა.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა.
4. განხილვა დებულებისა კრებების შესახებ.
5. სათადარიგო თანხის შექმნა კრების საჭიროებათათვის.
6. გადათვალიერება იმ პირობებისა, რომლითაც ჯილდო ეძლევათ უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულ მუშებს.
7. შავი-ქვის ტარიფის დაკლება ჭიათურის შტოზე.
8. კრებების საჭიროებათათვის საფუთო გადასახადის გადიდება.

(3—6.—2)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** ხუთ ოქტომბრიდან განაახლებს ავადმყოფების მიღებას. (0—კვ.—73)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ვერ იამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—21)

**ქუთაისში** ექიმმა გაბრიელ იოსების ძე გოკიელოვმა, საზღვარგარეთ წასვლის გამო, დროებით შესწყვიტა ავადმყოფების მიღება. (3—1)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—20)

ინახეთ მე-4 გვერდზე

შემოდგომა--ზამთარი

სეზონი 1909 და 1910 წლისა.

(1—6.—1)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—27)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—13)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—14)

**ექიმი** კბილისა **ს. ვაშაყმაძე** აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—21)

**ექიმი გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—34)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—სააթ, ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—72)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიანცეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—79)

**ექიმი ჩარექოვი** ქ. ქუთაისში. სპეციალისტი. იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მეზობლად იოსელიანის სახლში. (25—ფ.—21)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—262)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—9)

**ქ. თელავში**

**იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

## ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით.

**ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მან., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. ადრესი: Телавъ, Софьѣ Іосифовнѣ Симоновой, Бульв, пер. 2, собственный домъ, (5—უ.—2)

ტფილისის კერძო

## სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—11 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6.—2)

**ვოგზლის**

## კერძო სამკურნალო

**კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. ნიჟარაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**ბ. ა. პაპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი. (წლ.—6.—170)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა** მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—19)

**ნაფიცი ვექილი**

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში** (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—6.—21)

## იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოღლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს.** (50—6.—33)

პირველ ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, ტფილისიდან მცხეთაში მგზავრობის დროს

## დაიკარგა

**უბის პორტმანე.** შიგ ფული არა ყოფილა. იყო მხოლოდ პასპორტი და სხვა და სხვა კვიტანცია. მპოვნელისათვის ესენი გამოუსადეგარია. ვთხოვ მპოვნელს, მოიტანოს დაკარგული პორტმანე „დროების" რედაქციაში, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. (3—1)

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1—2 ოქტომბერი

**სპარსეთი**

**თავრიზი.** ჩამოვიდა არდებილის გუბერნატორად ნამყოფი ჰამიდ-ულ-მულკი. იტყობინებიან, შაჰსევანებმა და ყარადაღელებმა ალყა შემოარტყეს არდებილსო. სათარ-ხანი არდებილის ციხეში ჩაიკეტა. ბევრმა ფიდაიმ მიატოვა სათარ-ხანი და ნადავლით არდებილიდან გაიქცა გამოქცეული ფიდაიები ხმებს ავრცელებენ, შაჰსევანები ყარადაღელები არდებილის აღების შემდეგ თეირანზე გამოილაშქრებენ და გზაში მათ მოლლა კურბან-ალი შეუერთდებაო.

**თავრიზი.** აგარში წავიდა თავრიზის გზას ექიმი ნესმეიანოვი. ნესმეიანოვი უწამლებს ყარადაღის ავადმყოფ მართველს რახიმ-ხანს.

ბაგირ-ხანს დაშმის ფიდაებს ისე შეეშინდათ რახიმ-ხანისა, რომ უარი განაცხადეს ყარადაღზე ვერ გავილაშქრებთო. მათ მაგალითს მიჰბაძეს სარბაზებმა, რახიმ-ხანზე არ გავილაშქრებთ, რადგან ჯამაგირს არ გვაძლევენო. ამიტომ მცხოვრებლებს ეჭვი ეპარებათ ახალ მთავრობის სიძლიერეში.

არეულობის შემდეგ რუსეთის და სპარსეთის ქვეშევრდომებმა მთავრობას სხვა და სხვა პრეტენზიები წარუდგინეს, ზარალი მოგვივიდაო. უკანასკნელ ხანებში ბევრი ასეთი საჩივარი მოგროვდა. ამ საქმეების ადგილობრივ გამოსაძიებლად რუსეთის კონსულმა სოუჯ-ბულაკში გაგზავნა მოხელე ბელიაევი და 12 ყაზახი, თავრიზის კარგუზარმა—გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** ჰავასის სააგენტოს სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: ოსმალეთი ვალს იღებს. უკვე მოხდა შეთანხმება. დღეს, 31 სექტემბერს, დილით, ხელს მოაწერენ შეთანხმების განაჩენს.

**საზღვარ-გარედ.**

**პეტერბურგი.** ესპანიის მთავრობა სასტიკად ადევნებს თვალ-ყურს, რომ ფერერის საქმის შესახებ ცნობები არ გავრცელდეს. მიუხედავად ამისა აქ მაინც შეიტყეს, ფერერი მონჟუიხის ციხეში გადაიყვანესო. ჯერ ოფიციალურად არ დამტკიცებულა, რომ ფერერის დამცველი დაეპატიმრებინოთ.

**ნიუ-იორკი.** პირმა და მისმა სამმა თანამგზავრმა გამოაქვეყნეს კუკის თანამგზავრების, სამი ესკიმოსის, ნალაპარაკევი. პირის და მისი თანამგზავრების სიტყვით ესკიმოსებს ერთხმად განუცხადებიათ, გეიბერგის კუნძულიდან ჩრდილოეთისკენ მხოლოდ ორი დღე ვიარეთო. როდესაც იმ ადგილს მივახწიეთ, რის შემდეგაც ფეხით სიარული არ შეიძლებოდა, უკან დავბრუნდითო. შემდეგ ესკიმოსებს უთქვამთ, ის დრო, რომელიც კუკის სიტყვით, ვითომ ჩრდილოეთის პოლიუსზე მისვლას მოვანდომეთ, ნამდვილად სამხრეთისკენ წამოსვლას მოვანდომეთო.

**ლონდონი.** კენზინგტონში გრძელი სიტყვა წარმოსთქვა მასტერმენმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ. მან, სხვათა შორის, სთქვა: როგორც გინდა შეხედოს ლორდთა პალატამ ბიუჯეტს, ბიუჯეტი მაინც დამტკიცდება.

გაზეთები გაცხარებით ლაპარაკობენ მეფის, ბალფურის, ლორდ ლენსდოუნის და მინისტრ-პრეზიდენტ ასკვიტის თათბირზე. გაზეთების აზრით ეს თათბირი ასკვიტის თაოსნობით მოხდა. კონსერვატიულ მიმართულების გაზეთები ჰკიცხავენ ასკვიტს, მას არ უნდა ბედი გამოსცადოს საყოველთაო არჩევნებში, ვერაფრით ვერ გაამართლდება მისი საქციელი, რომ სცდილობს მეფის უფლებებით ისარგებლოს და მოწინააღმდეგეების განზრახვა გაიგოსო. გაზეთების სიტყვით თუ მთავრობა დათმობის გზას არ დაადგა, ლორდთა პალატამ ბიუჯეტი არ უნდა დაამტკიცოს. ლიბერალურ გაზეთები კანონიერად სთვლიან, რომ მეფეს სურს შეარიგოს მოწინააღმდეგეები. „დეილი-ნიუსი" სწერს, შესაძლებელია ლიბერალები დათმობის გზას დაადგნენ, მაგრამ ასკვიტი კი არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს უკანაო. გაზეთები ჰფიქრობენ, მეფემ მინისტრ-პრეზიდენტ ასკვიტს წერილობითი საბუთი მისცა, თუ საჭირო იქნება ზედა პალატაში ლიბერალურ ლორდებს დავნიშნავ, ამიტომ მოსალოდნელი არ არის, რომ საქმე გამწვავდესო.

**რომი.** გუშინ, 30 სექტემბერს, ხალხმა დიდი მიტინგი გამართა. მიტინგმა პროტესტი განაცხადა, ესპანიის სასამართლოს იმ განაჩენის

წინააღმდეგ, რომლითაც ფერერს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტეს. აღარებულმა მუშამ მუშაობა შეწყვიტა, ტრამვაიები და ეტლები აღარ მუშაობდნენ. მილანსა, კორტონსა, ვერონსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებლებმა მიტინგები გამართეს და ფერერს თანაგრძნობა გამოუცხადეს. დეპუტატთა პალატაში ბარზილაი მთავრობას შეეკითხა, ხომ არ ფიქრობთ, რომ უდანაშაულო ფერერს მხარი დაუჭიროთო.

**მადრიდი.** გამოირკვა, სამინისტრო არ იშუამდგომლებს მეფის წინაშე, რომ ფერერს სასჯელი შეუმსუბუქდეს. გუშინ, 30 სეკტემბერს, საღამოთი შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ფერერი ციხეში გადავიყვანეთ და დილის 6 საათზე განაჩენს სისრულეში მოვიყვანთო.

**რომი.** იტალიის სხვა და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან, მცხოვრებლებმა მიტინგები გამართეს. მიტინგებზე მცხოვრებლები თანაგრძნობას უცხადებენ ფერერს და ჰკიცხავენ ესპანიის მთავრობას. გაზეთებმა ცალკე დამატება გამოუშვეს. დამატებაში დაბეჭდილია მარტო ფერერის შესახებ ცნობები. ტურინში რკინეულობის მუშებმა და კალატოზებმა და სხვებმა მუშაობა შესწყვიტეს. ამავე ქალაქში მუშები შეეცადნენ ტრამვაის გაჩერებას, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა. წინა დღით გენუის მუნიციპალიტეტმა ესპანიის მინისტრ-პრეზიდენტს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა, ფერერს სიკვდილით ნუ დასჯითო. გენუის მუშათა პალატამ დაადგინა, ერთი დღით არ იმუშავონ. ქალაქში მუშებმა სამუშაოზე ხელი აიღეს, ტრამვაიები გაჩერდა. ნეაპოლში უნივერსიტეტის შენობაში შეიკრიბნენ რამდენიმე ასი სტუდენტი. სტუდენტებმა დაადგინეს პროტესტი განვუცხადოთ ესპანიის კონსულსო, მაგრამ მთავრობამ აღარ მისცა ამის ნება.

**პარიზი.** მცხოვრებლებმა დიდი მიტინგი გამართეს, მიტინგმა თანაგრძნობა გამოუცხადა ფერერს და გაჰკიცხა ესპანიის მთავრობის მოქმედება. ქალაქის გვარდიამ ბევრი მანიფესტანტი დასჭრა. დაჭრილია აგრეთვე გვარდიის აფიცერი. ჟორესმა თავის გაზეთის თანამშრომლებთან და რამდენიმე ათას კაცთან ერთად ქუჩებში დემონსტრატიულად გაიარა. ხალხი მარსელიოზას მღეროდა. ჟორეს და ხალხს შეტაკება მოუვიდათ პოლიციელებთან. ხალხი ხელდახელ დაერია პოლიციელებს. ესპანიის საელჩოს ახლო მოჰკლეს ერთი პოლიციელი, დასჭრეს ერთი პოლიციელი და ერთი გვარდიელი. მანიფესტანტებმა ცეცხლი წაუკიდეს ტრამვაის ორ ვაგონს. დააპატიმრეს მანიფესტანტი, რომელმაც პირველად ესროლა პოლიციელს. დაპატიმრებული აღმოჩნდა ესპანიის ქვეშევრდომი დელატორრე, ცნობილი ანარქისტი. პოლიციამ აგრეთვე დააპატიმრა მეორე მანიფესტანტი, რომელმაც რევოლვერი ესროლა პოლიციელებს. დაჭრილი პოლიციელი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მანიფესტაციის დროს პოლიციის პრეფექტს ოთხჯერ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ უშედეგოდ. პოლიციის პრეფექტმა მინისტრ-პრეზიდენტს მოახსენა, ესპანიის საელჩოს ახლომახლო არეულობა აპაშებმა (მცარცველები და მკვლელები) მოახდინეს, მათ ფარნების ბოძები დასჭრეს და ცეცხლი წაუკიდეს ტრამვაის ვაგონებსო. პოლიციამ წესიერება აღადგინა. დააპატიმრეს 50 კაცი.

**ბარსელონა.** დილის 9 საათზე დახვრიტეს ფერერი.

**სტოკჰოლმი.** ეჭვი აქვთ, რომ გრამსა და შეგოლმს ფოსტით ყუმბარები ინჟენერმა ეკენბერგმა გაუგზავნა. ეკენბერგს ლონდონში ასაფეთქებელ მასალათა ლაბარატორია აქვს, პირადად იცნობდა გრამს და შეგოლმს, რომლებიც მას ვაჭრობაში კონკურენციას უწევდნენ.

**აუგსბურგი.** დილის 10 საათზე ნიურენბურგში აფრინდა ჰაეროპლანი „პარსევალ მესამე“. ნაშუადღევის 2 საათზე ჰაეროპლანი აქ ჩამოეშვა. ხვალ, 31 სეკტემბერს, ჰაეროპლანი მაინის-ფრანკფურტისკენ გაფრინდება.

**ქრისტიანია.** ნორვეგიის ჰაერში მფრენავთა საზოგადოების სადგომში პროფესსორმა გერგეზელმა მოხსენება წაიკითხა. გერგეზელმა მსმენელებს გააცნო ცეპელინის განზრახვა ჩრდილოეთის პოლიუსზე გაფრენის შესახებ. გერგეზელის სიტყვით ცეპელინი იმ შემთხვევაში მოახერხებს ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაფრენას, თუ შეძლებს განუწყვეტლივ სამი-ოთხი დღე იფრინოსო. ცეპელინის ექსპედიცია კუნძულ შპიტბერგისკენ 1912 წლის ზაფხულში წავა. კროსის გუბეში გაიმართება ცენტრალური სადგური. პირველსავე ზაფხულს ცეპელინი ჩრდილოეთ-პოლიუსისაკენ ორჯელ გაფრინდება.

**პეტერბორგი.** დირექტორმა შეგოლმმა ინჟენერ ეკენბერგისგან დეპეშა მიიღო. ეკენბერგს აბრალებენ, რომ გრამსა და შეგოლმს მან გაუგზავნა ფოსტით ყუმბარები. ეკენბერგი დეპეშით უარჰყოფს ამ ბრალდებას, ცილის წამება უსაფუძვლოაო.

**რომი.** ფერერის სიკვდილით დასჯის გამო ადგილობრივ მუშათა პალატამ დაადგინა, გამოაცხადოს საერთო გაფიცვა. უკვე გაიფიცნენ ტრამვაის და სხვა და სხვა ქარხნების მუშები. მუშათა პალატა წინადადებას იძლევა, ბოიკოტი გამოვუცხადოთ ესპანიის სავაჭრო გემსო.

**ლივორნო.** მოხდა მუშათა კავშირების წარმომადგენლების კრება. კრებამ მსჯელობა იქონია ფერერის დახვრეტაზე. კრებამ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს ესპანიის საქონელს და საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადოს. კრების შემდეგ ხალხმა და კრების მონაწილეებმა მანიფესტაცია მოახდინეს. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** ყაზანსა და მის ახლომახლო სოფლებში გაძლიერებული წესები 1910 წლის 4 სეკტემბრამდის კიდევ დარჩება.

ვიტებსკის გუბერნატორს 1910 წლის 4 სეკტემბრამდის უფლება ექნება გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი.

**ტაშკენტი** ნაშუაღამევის პირველ საათსა და 5 წუთზე მიწა იძრა.

**ოდესსა.** ოლქის სასამართლომ განიხილა 13 კაცის საქმე. ამათ ბრალდებოდათ 1905 წელს დაბა ვარვაროვკაკ ებრაელების აწიოკება. სასამართლომ ყველა—ბრალდებულები გაამართლა.

**ვალკი.** სოფელ კოვიაგარში რამდენიმე ბოროტგამზრახველი თავს დაეცა პეპელნუხის სახლს. უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს პეპელნუხი, მძიმედ მისი ცოლი. გაიტაცეს 2000 მანეთი. ბოროტგანზრახველები მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** პარგოლოვსკის ქუჩაზე ერთი მუშის სახლში აფეთქება მოხდა. გამოირკვა რომ აფეთქება ყუმბარის გაკეთების დროს მომხდარა. დაიჭრა მუშა, რომელიც ყუმბარას აკეთებდა. პოლიციის დანახვაზე დაჭრილი მუშა გაიქცა, მაგრამ იგი დააპატიმრეს, მისი ამხანაგი მიიმალა.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა ძმები სინადინოების საკასაციო საჩივარი. ძმებს სინადინოებს ჰყავდათ მილიონერი ბიძა, რომელმაც მთელი თავისი ქონება საბერძნეთის მთავრობას გადასცა, საქველმოქმედო საქმეს მოახმარეთო. ძმები სინადინოები ამ ანდერძს უკანონოდ სთვლიდნენ, რაიც არ შეიწყნარა ოდესსის სამოსამართლო პალატამ. სენატმა დაამტკიცა პალატის განაჩენი.

**მოსკოვი.** ბაქოს ნავთის მრეწველის ასადულოევის სახლიდან უცნობებმა წაიღეს ფასიანი ქაღალდები და ფული, სულ 76,000 მანეთისა.

**რიგა.** 27 სეკტემბერს ზასენგუსკის დამხმარე საზოგადოების სადგომში პოლიციამ აღმოაჩინა სოციალ-დემოკრატების პარტიის წევრების კრება. დააპატიმრეს 20 კაცი. პოლიციამ წაიღო სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები. ამ ქაღალდებიდან სჩანს, რომ დაპატიმრებული 20 კაცი მეთაური ყოფილან ლატიშთა მხარის სოციალდემოკრატიულ პარტიისა. ამას გარდა პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა ალაგებში გაჩხრიკა სახლები. წაიღეს ბევრი ქაღალდები, რომლებიც ნათელს ჰფენენ პარტიის მოქმედებას.

**გროზნი.** 30 სეკტემბერს, საღამოს 8 საათზე, რამდენიმე ბოროტ-განზრახველი თავს დაეცა ნავთისმრეწველ მაქსიმოვს. ბოროტ-განზრახველები ცხენებზე ისხდნენ. მათ მეთაურობდა აფიცრის ფორმაში გამოწყობილი უცნობი. მაქსიმოვი გადაარჩინა ფელშერმა, რომელმაც სროლა ასტეხა. ბოროტგანზრახველები მიიმალნენ

**პოლტავა.** სადგურ ნოზნესენჯარის ახლო ლიანდაგიდან გადავარდა მატარებელი № 519. დაიმტვრა სამი ვაგონი. არავინ დაშავებულა.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორმა სენატს შეატყობინა, უმაღლესის ბრძანებით სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ექვსმა წინანდელმა სენატორმა ახალ განკარგულებამდე თავიანთი თანამდებობა უნდა აასრულონო.

**ხარკოვი** სადგურ ლიხაჩიკის ახლო მატარებლიდან გადმოვარდა ისაკიევის ტაძრის ღრმად მოხუცებული დეკანოზი სობოლევი. სობოლევი მძიმედ არის დაშავებული. სობოლევი რკინის გზის საავადმყოფოში მოათავსეს.

**ლოძი.** ზგერეში საეროვო დარაჯები ყაჩაღებს ჩაუსაფრდნენ. ყაჩაღებმა დარაჯებს სროლა დაუწყეს, მოჰკლეს ერთი დარაჯი, დასჭრეს მეორე და მიიმალნენ.

## კახეთის რკინის გზა

კახელის ოცნება რკინის გზის გამოყვანის შესახებ სისვებით ვერა მართლდება, თუმცა გზის გამოკვლევა უკვე დამთავრდა და დღეს თუ ხვალ უნდა განხორციელდეს დიდი ხნის დაწყებული საქმე.

მე მოგახსენებთ კერძოდ შიგნით კახეთზე: რკინის გზა ხვდება მხოლოდ თელავის მაზრის ქვემო ნაწილს სოფ. ურიათუბნიდან ქალ. თელავამდე, 22 ვერსის სიგრძეზე. ამ მანძილზე გამწკრივებულა ერთმანეთზე მოყოლებით 12 დიდი სოფელი. თითო სოფელში ითვლება 200-400 კომლი. საჭირო იყო, რკინის გზა რაც შეიძლება სოფლებს ახლო ყოფილიყო გატარებული, მაგრამ, ამის ნაცვლად, გზა ზემოდასახელებულ სოფლებს მხოლოდ ბოლოზე უვლის, 7-8 ვერსის სიშორეზე.

ეს კიდევ არაფერი, შეიძლება მიმართულებამ მოიტანა ასე, რაც ძალალიან საეჭვოა, მაგრამ ავიღოთ უკანასკნელი სადგური—თელავისა, სადაც თავდება კახეთის რკინის გზა. აქ თელავი ტყუილად ვახსენე. უკანასკნელ გამოკვლევით, რკინის გზის სადგური უნდა აშენდეს კურდღელაურის ბოლოში, თელავიდან $4^1/_2$ ვერსის სიშორეზე. ამ რიგად, კახეთის დედა ქალაქი თელავი თავის მოსაზღვრე სოფლებით (ვარდის-უბანი, შალაური და კურდღელაური) სადგურის გარეშე რჩება, მაშინ, როცა ადვილად შეიძლებოდა სადგური გაეშენებინათ თელავ-შალაურის ბოლოში, კურდღელაურის გვერდით, აგურხანების ქვემოდ დაცემულ ვაკეზე. ეს ადგილი ძრიელ მარტო თელავისა და მის მოსაზღვრე სოფლებისთვის იქნებოდა მარჯვე, არამედ მთელ ზემო მხრისთვისაც და თუ თიანეთის მაზრიდან გაიგზავნებოდა რამე, მაშინაც დიდი შეღავათი იქნებოდა. ამ ადგილს მდებარეობაც ხელს უწყობს სადგურის აშენებისათვის, რადგან მხოლოდ აქედან იწყება აღმართი თელავისაკენ, ქვემოდ-კი სუფრასავით ვაკეა და თუ ალაგ-ალაგ შეჰხვდება ფერდობები, ეს სათქმელიც არ არის.

გამოკვლევის დროს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები უსათუოდ მხედველობაში უნდა მიეღოთ. შეიძლება რკინის გზის გამოკვლევის დროს ტფილისს—სიღნაღის მაზრებს მეტი მიაქციეს—არ ვიცი, მხოლოდ თელავის მაზრა ამას სრულებით მოკლებულია. ეს სხვათა შორის რკინის გზის გამომკვლეველთა პარტიის უფროსმა, ინჟ. ვოლევსკიმ (რომელთანაც მე მქონდა საუბარი) სთქვა: ჩვენ სიღნაღის მაზრიდან მოვდევთ და ამ ადგილას ამოვედით; შეიძლება ამაზე ბევრით ქვეითაც ყოფილიყო სადგური და მადლობელნი უნდა იყვნენ თელაველნი, რომ $4^1/_2$ და არა 10-12 ვერსით იქნება დაშორებული სადგური ქალაქსაო.

სადგურის ასე დაშორების შესახებ თელავის თავად-აზნაურობის და ქალაქის წარმომადგენელნი იყვნენ ინჟენრებთან, რომელთაც გამოკვლევა უკვე გაეთავებინათ. მათ ურჩიეს, გუბ. თავად-აზნაურობას ან ინჟ. ანდრიანოვს მიჰმართეთ და შეიძლება საქმეს ეშველოსო.

საჭიროა გუბერნიის თავად-აზნაურობამ გზის გაყვანის დროს მხედველობაში მიიღოს მთელი შიგნით კახეთის მცხოვრებთა ინტერესები.

**დავიწყებული.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ვაჭრობა წ. კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.** შარშან მაისში წვრილ ვაჭართა საზოგადოების ინიციატივით ტფილისის ვაჭრებმა ერთი დღის ნავაჭრის ნაწილი შესწირეს წ.-კ. საზოგადოებას და ამ შემოწირულობით შესდგა 771 მან. 50 კ. წელსაც წვრილ ვაჭართა საზოგადოების მთავარმა კომიტეტმა ასეთ დღედ აირჩია 23 ოქტომბერი და უკვე შეუდგა მზადებას საქმის მოსაწყობად. ერთი კვირით ადრე გამოცხადდება ანბანზე შედგენილი სია ვაჭართა, მრეწველთა და ხელოსანთა, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას შემოწირულებაში. ყველას, ვინც შარშან მიიღო მონაწილეობა ან წელს გამოიღებს შემოწირულობის, წ.-კ. საზ. გამგეობისაგან მიეცემა მადლობის დიპლომი.

✦ **წერა კითხვის საზოგადოება.** ნავთლუღელებმა შუამდგომლობა აღძრეს წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წინაშე, დაარსოს იქ სკოლა. მთავარმა გამგეობამ დაადგინა, დაევალოს სასკოლო სექციას, მოელაპარაკოს ნავთლუღელებს შესანახ წყაროს შესახებ. ამგვარათვე თხოვნა მიიღო გამგეობამ სოფელ გერგეთის მცხოვრებთაგან. გერგეთელებმა გამგეობას აცნობეს თავიანთი უკიდურესი სიღარიბე და ის, რომ მათ სკოლის შენახვა გაუჭირდებათ დაუხმარებლად და სთხოვს მასწავლებლის ჯამაგირი იკისროს და აგრეთვე სასწავლო ნივთები გაუგზავნოს. გამგეობამ დაადგინა, გერგეთის სკოლის შესანახი ხარჯი შეტანილ იქმნას მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში და სკოლა გაიხსნას მომავალ წლ ს იანვრიდან. გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ გერგეთში შეუდგნენ იანვრამდე სასკოლო შენობისა და სკოლის მოწყობილების დამზადებას.

✦ **საქართველოს საექსარხოსო.** „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ საბოლოოდ გადასწყდა საკითხი საქართველოს საექსარხოსოს შესახებაო. საეგზარხოსოს მაგიერ დაარსდება ექვსი დამოუკიდებელი საეპისკოპოსო ამის შესახებ კანონ-პროექტს სახელმწიფო სათათბიროში ამ შემოდგომაზე შეიტანენო.

✦ **განაჩენი.** სააგენტოს სიტყვით, ტფ. სამოსამართლო პალატას ბაქოში უკვე დაუმთავრებია პოლიცმეისტრად ნამყოფების დვინსკის და ხომიცკის, ბოქაულების და სხვების საქმის განხილვა. სასამართლოს გადაუწყვეტია: ხომიცკისა და დვინსკისთვის ზოგიერთ უფლებების ჩამორთმევა და თექვსმეტ-თექვსმეტი თვით ციხე, ბოქაულებს მონსსეკოვს, ბოროტინს, თავად ნიჟარაძეს და პოდგორნისთვის უფლებების ჩამორთმევა და რვა-რვა თვით ციხე. გაუმართლებია ბოქაულის თანაშემწე სულთანოვი და უბნის ზედამხედველი შახტახტინსკი. ბოქაული პოდგორნი ცოცხალი აღარ არის.

✦ **„კახეთის“ წევრთა კრება.** 28 სეკტემბერს თელავში დაიწყო კახელ მევენახეთა „კახეთის“ წევრთა კრება. 160 წევრიდან გამოცხადდა მხოლოდ 31 წევრი.

✦ **რთველი კახეთში.** კახეთიდან გვწერენ: რთველი, რომელიც ენკენისთვის ნახევარში დაიწყო, თავდება. წელს ძლიერ ნაკლები მოსავალია, სამაგიეროდ შარშანდელზე ბევრად უკეთესი ღვინო დადგება.

✦ **გაფუჭებული სანოვაგე.** 29 სეკტემბერს პოლიციამ გაჩხრიკა მანთაშევის სანოვაგის დუქანი მიხეილის პროსპექტზე. დუქანში აღმოჩნდა ერთი ფუთი დამატლიანებული ძველი ხორცი და აყროლებული თირკმელები, ტვინი და სხვა. აქვე აღმოჩნდა დამპალი პამიდორი და კომში. გაფუჭებული სანოვაგე პოლიციამ დასწვა. მანთაშევი პასუხისგებაში მისცეს.

✦ **ლექცია მარსზე.** კვირას, 4 ოქტომბერს, ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში მასწავლებელი ლ. ა. კოზლოვსკი წაიკითხავს ლექციას ასტრონომიიდან—მარსზე. შემოსავალი დანიშნულია ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

✦ **ახალი გამოცემა „ბუნების-კარისა“.** წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიამ უკვე მიიღო დაკაზმული ახალი მეთვრამეტე გამოცემა „ბუნების კარისა“ და განახლა გაგზავნ-გამოგზავნა მისი, თანახმად მოთხოვნილებისა.

✦ **გერმანელი მეცნიერი და საქართველოს ისტორია.** გერმანელმა მეცნიერმა ბ-ნმა გუსენმა წერილი გამოუგზავნა წ.-კითხვის საზოგადოებას. იგი თხოულობს მასალას საქართველოს ისტორიის შესასწავლად: წ.-კითხ. საზოგადოების ხელთ-ნაწერების აღწერას, ე. თაყაიშვილის მიერ შედგენილს, თ. ჟორდანიას ქრონიკებს და სხვას.

✦ **ასი წლის თავი.** დღეს, 3 ოქტომბერს, სრულდება 100 წელიწადი რუსეთის სახალხო მგოსნის ა. ვ. კოლცოვის დაბადების დღიდან. ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა პროგრამები დაუგზავნა სასწავლებლებს, თუ როგორ იდღესასწაულონ ეს დღე. პროგრამით სასწავლებლებში მეხუთე გაკვეთილის დაწყებამდე უნდა გადაიხადონ პანაშვიდი, სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში ერთ უქმე დღეში უნდა გამართონ სალიტერატურო დილა და სხვა.

✦ **ტუსაღების გაქცევა.** როგორც გვატყობინებენ, ზუგდიდის საპატიმროდან 25 სეკტემბერს გაქცეულა ორი პატიმარი—პლატონ მურცხულავა და ბერაია, რომელთაც დიდინეთის სოფლის მცხოვრებ მაქაცარიაზე თავდასხმისთვის 8 წლით კატორღაში გაგზავნა ჰქონდათ გადაწყვეტილი. გაუფრთხილებლობისათვის დაუპატიმრებიათ ციხის ზედამხედველი მალიჩავა და ერთი დარაჯი. დაუპატიმრებიათ აგრეთვე მურცხულავას მშობლები

✦ **მეეზოვეთა დარაჯობის გაუქმება** ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა ბოქაულებს, რადგან ტფილისში მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მეეზოვეთა ღამით დარაჯობა საჭირო აღარ არისო.

✦ **დაპატიმრება.** ბორჯომის ხეობაში რაღაც მიზეზით ზოგიერთ სოფლებში გახშირდა დაპატიმრება. როგორც გვატყობინებენ ამ დღეებში სოფ. ნაგვერეთში 8 გლეხი დაუპატიმრებიათ და საპყრობილეში გაუგზავნიათ.

✦ **ქურდების ბრბო.** ტფ. პოლიციის ცნობა მიუღია, რომ ტფილისის სხვა და სხვა უბანში მრავალი ბრბოა ქურდებისა. ქურდებს ბავშვებიც ჰყოლიათ, რომელნიც ქუჩა-ქუჩა დადიან თურმე და ცნობებსა ჰკრებენ, თუ სად და ვისაგან შეიძლება ნივთების მოპარვა, სახლის გატეხა და სხვა. ეჭვით 24 სეკტემბერს დაუპატიმრებიათ 14 წლის ყმაწვილი, აგრონომის შვილი მიხეილ ცაქალამიძე. შემდეგ პოლიციამ მოახერხა მთელი ბრბოს მეთაურ წევრების დაპატიმრება. დააპატიმრეს 1905 წელს სამხედრო სამსახურიდან გაქცეული ნოვომოსკოვის მაზრის მცხოვრები ვასილ ჩიმჩივი. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა მრავალი სხვა და სხვა გასაღები და იარაღი. დააპატიმრეს აგრეთვე ტფ. მცხოვრები მიხეილ შევჩენკო, მიხეილ ტიუფანოვი და მიხეილ კოზიშვილი. ტიუფანოვს ოლქის სასამართლოსაგან ქურდობისათვის ორჯელ ჰქონია გადაწყვეტილი სასჯელი. ბრბოში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე გუმბრის მცხოვრები ლევან პოლოსოვი, რომელიც მარტიროზ პოლოსოვის პასპორტით სცხოვრობდა. დაპატიმრებულნი და მათი ამხანაგები, რომელთა ვინაობაც ჯერ ვერ გამოურკვევიათ, სამი წლის განმავლობაში დათარეშობდნენ თურმე ტფილისში. პოლიციის მიერ შეკრებილ ცნობებით ბრბოს გაუტეხია და მოუპარავს ნივთები: 22 სეკტემბერს ჰავჰავაძის ქუჩაზე მიხეილ ბოჩოშვილისათვის გაუტანიათ ფულად 160 მან. და 800 მანეთის ნივთები, ეს ნივთები 300 მანეთად მიუყიდნიათ ძველმრეწველ „ვაჭრის“ გეურქ ავაქიანცისათვის. აგვისტოს პირველ რიცხვებში მიხეილის პროსპექტზე ჟარნოსა და მაქსიმოვიჩისთვის გაუტანიათ 1240 მანეთის ნივთები და იმავე „ვაჭარ“ ავაქიანცისათვის მიუყიდნიათ 120 მანეთად. ოთხი თვ ს წინად ბრბოს წყნეთის ქუჩაზე გენერალ პოტტოს სახლიც გაუტეხნია და გატანილი ნივთები იმავე ავაქიანცისათვის 30 მანეთად მიუყიდნია. ერთი კვირის წინად ნივთები გაუტანიათ ეკატერინე ლაფერაშვილის სახლიდან. ქურდებს ეს ნივთები გაჩხრეკის დროს სახლში აღმოაჩნდათ. ნივთები პატრონს დაუბრუნეს. ერთი თვის წინად ლისაგორის ქუჩის შესახვევის მცხოვრებს ანნა ისაკიანცისთვის გაუტეხნიათ სახლი და გაუტანიათ ნივთები. მოპარული ნივთები ქურდებმა გუმბრელს ოჰანეს სააკიანცს მიჰყიდეს. ეს ნივთებიც ნახეს და დაუბრუნეს პატრონს, და სხვ. გარდა ამისა, ქურდებს მრავალი სხვა წვრილმანი ქურდობა ჩაუდენიათ. მოპარული ნივთები ყოველთვის ავლაბარში მიჰქონდათ და გეურქ ავაქიანცზე ჰყიდნენ. როცა ავაქიანცს გაუგია, რომ ქურდები აღმოაჩინეს, სადღაც გამქრალა. ბოლოს პოლიციამ იპოვნა ბინა ავაქიანცისა და კონსტანტინეს ქუჩაზე ავლაბარში. გაჩხრიკეს და აღმოაჩნდა მრავალი ნივთები: ხალიჩები, ოქროს ბეჭდები, საცვლები და სხვა. ნივთები პოლიციის მე-10 ნაწილში გადაიტანეს. ვისაც ნივთები მოჰპარეს და შეუძლიანთ მივიდნენ იქ და ნახონ.

✦ **ნ. ნიკოლაძის იუბილეი.** 25 ოქტომბერს სრულდება 15 წელიწადი, რაც ბ-ნი ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად არის. „ტფ. ლისტ.“ სიტყვით, ფოთის ქალაქის თვითმართველობის ხმოსნები ამ დღეს სადილს გაუმართავენ ნიკოლაძეს. ამას გარდა ხმოსნები ნიკოლაძეს მიართმევენ ვერცხლის ჯამს. ტფ. ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია დეპეშით მიულოცოს ბ ნ ნიკოლაძეს.

✦ **თავდასხმა.** ამ ორი კვირის წინად სოფელ საცხენისში, ტფ. მაზრაში, ექვსი შეიარაღებული ბოროტგამზრახველი თავს დასცემია ტყის უფროსის სახლს. ბოროტგამზრახველებს წაუღიათ სამი რევოლვერი, ამდენივე თოფი, 200 მანეთი და მიმალულან.

✦ **თეატრებში.** ტფ. გუბერნატორს პოლიცმეისტრისთვის წინადადება მიუცია, მიიღეთ ზომები, რომ მოსწავლე ახალგაზდობა თეატრებში რიგიანად იქცეოდესო. სხვათა შორის თეატრების დირექციებს მოსთხოვენ, რომ ერთსა და იმავე ლოჟაში ორივე სქესის მოსწავლეები არ შეუშვან.

✦ **„სახალხო გაზეთი“.** ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს გამოვიდა პირველი ნომერი „სახალხო გაზეთისა“. როგორც ვწერდით, ეს გაზეთი იაფფასიანია—ღირს სულ ორ კაპეიკად.

✦ **ლექციები ერობის შესახებ.** კვირას, 4 ოქტომბერს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ბ-ნნი გვაზავა და ხატისოვი წაიკითხავენ ლექციებს ერობის შესახებ. გვაზავა წაიკითხავს დილის 11-ზე, ხატისოვი $12^1/_2$ საათზე.

✦ **ჟურნალისტის ჩამოსვლა.** „ნოვ. ზ.“ სიტყვით, კავკასიაში ჩამოსულა ცნობილი პოლონელი ჟურნალისტი სტრაშევიჩი. სტრაშევიჩს აზრად აქვს დაათვალიეროს კავკასიის ის ადგილები, სადაც პოლონელნი სცხოვრობენ. ამის შემდეგ სტრაშევიჩი ამოარჩევს ერთ რომელსამე ქალაქს და პოლონურ გაზეთს გამოსცემს. გაზეთის გამოცემაში სტრაშევიჩს, მისი სიტყვით, რამდენიმე ცნობილი პოლონელი ჟურნალისტი დაეხმარება.

✦ **დანიშვნა.** „რეჩ“-ს გაუგია, რომ მთავარ ინტენდანტის თანაშემწე

...ზღ კავკასიის სოლქო ინტენდანტი გენერალი აგაპეევი ინიშნება.

✦ **ხოლერა.** პირველ ოქტომბერს ბაქოში ხოლერით ავად გახდარა ორი კაცი.

✦ ამას წინად ევანგულოვისა და ბარიათინსკის ქუჩის მცხოვრებთათვის ტერ-გრიქუროვისა და სპენდიაროვისთვის ქურდებს მოუპარავთ მრავალი ნივთები. პოლიციამ უკვე აღმოაჩინა ქურდები ვინმე შაქრო (გვარი არ იციან), ნიკოლოზ თოროზოვი, გრიგოლ არაქელოვი. ორი უკანასკნელი პოლიციამ უკვე დააპატიმრა. მოპარული ნივთები ქურდებს მიუყიდნიათ პოლიციის მე-7 ნაწილში სხვა და სხვა პირთათვის. ნივთების მყიდველებს სახლები გაუჩხრიკეს და აღმოაჩინეს შეძენილი ნივთები. პოლიციამ ყველანი პასუხის გებაში მისცა.

## მთათა შორის*)

(დუშეთ-თიანეთი.)

მაშასადამე განვაგრძოთ ჩვენი წერილი. მაგრამ ოხ, საწყალო წერილო! უჩემა წინამორბედმა დიდი წამება განიცადა და, ვინ იცის, იქნებ შენც არ აცდეს გაკრეჭა და გაროზგვა. მერე ვისაგან? ჰოი საშინელებავ! დაუჯერებელია, მაგრამ მოდი და ნუ დაიჯერებ— თვით რედაქტორისაგან. რედაქტორს ცენზორის როლს ასრულებინებენ საკუთარ ვენახში გაზეთს აკაფინებინებენ და ისიც ჰკაფავს. კმაყოფილდება, ღმერთს მადლობას სწირავს, თუ ასე ცხრა-ათი ვაზი მაინც დარჩა.

„კარგო, გაიგონე, დაიჯერე,—მითხრა მან შთაგონების კილოთი:—ცემა-ტყეპაზე წერა არ შეიძლება. დროება გამოიცვალა. კიდეც რომ ჰხედავდე თვალით, ბოქაულები და სტრაჟნიკები დაუნდობლად კაცს სტყეპენ, შენ ასე უნდა დასწერო, რომ პირში ჰკოცნიდნენ, თავზე ხელს უსვამდნენ, შენი ჭირიმეო, შენ განაცვალეო უუბნებოდნენო... დედ-მამის გინება ლოცვა-კურთხევად უნდა გამოიყენოთ. უგინებდნენ კი არა, დედ-მამის სულს ცხონებას უთვლიდნენო. არაგვიც ქვევით კი არა, ზევით მიდისო. წინააღმდეგ იტყვი? მოდის ჯარიმა, მოდის ციხე!"

რა შთამაგონა?! საწყალი რედაქტორები, საწყალი სიმართლე, საბრალოთ ისინი, ვისაც თავში კეტი ჰხვდებათ და ხელის შებრუნების საშუალება არა აქვთ, და... საწყალი უცენზოროდ მეტად მეფელეტონე, მწერალი, რომელმაც თეთრს შავი უნდა დაარქვას, შავს —თეთრი, მწარეს — ტკბილი, ტკბილს — მწარე, მთას—ბარი, ბარს—მთა, მგელს—ცხვარი, ცხვარს—მგელი, დარს—ავდარი ავდარს—დარი და სხვ. და სხვ...

მაშასადამე, ახალი წესების ძალით, ასე უნდა დავწეროთ: „როცა ყინვაში შეუდგი ფეხი, დუქნისწინ ხალხი, ბედნ-კაცობა, გროვდებოდა და ყაყანებდა, მსჯელობდა ახლად მომხდარ ამბავზე, რადაც ცემა-ტყეპაზე". არამედ ამ გვარად: არსად ყინვაა, არსად იქ დუქანი, არც ხალხი სადმე სჩანდა და არც არაფერი ცემა-ტყეპაზე გამიგონია, რადგან არსად მომხდარა.

მაშასადამე, ასე არ უნდა დავწეროთ: „დრამაზე მღვდლებმა იჩივლეს დუშეთის მაზრის უფროსთან, ხალხი პურს არ გვაძლევს, არა გვქვსო, იძახიან; ზოგ-შეგიდი შიმშილით გვეხოცება, ვ ფუის საკმაო პური არ მოგვდის, მღვდელს რა უნდა მივცეთო. ფულს გადავიხდით და გთხოვთ, მაზრის უფროსო, შედავათიანი პირობა დაგვიდონ მღვდლებმა. მღვდლები კომლზე ხუთ მანეთს ითხოვენ, მაგრამ ბოლოს ორ მანეთზე შეთანხმდნენო."

უნდა დავწეროთ ამგვარად: „მაზრის უფროსთან მღვდლებს არ უჩივლიათ დრამის შესახებ; მშვენიერი განწყობილებაა მღვდლებსა და მრევლს შორის მღვდელიც კმაყოფილია თავის ცხოვრებით და მრევლიც. როგორც მღვდელს, ისე იმის მრევლს არაფერი ერთმანეთში სადაო არაფერი არა აქვთ, რადგან მღვდელს ფული თუ პური თავ-საყრელი აქვს, და თქვენ-სახარ მიგვიროს ვის რაზე უნდა ეჩივლა?!"

— ეჰ, უთხრა, ხი მაგრე უნდა წერათ!—მე მეუბნებიან.

„აქამდის გლეხები ედავებოდნენ თავად-აზნაურებს მიწებს, მოსაკლავად არ ინდობდნენ და ეხლა თავად-აზნაურები არ-ძაიჩივენ ერთმანეთში. ვისაც მეტი აქვს, იმას უნდა ჩამოაკლდეთ თუ სადამ-როგორმე მოხერხდება."

*) იხ. „დროება" N 210.

ასე უნდა შევცვალოთ: არცარას გლეხები ედავებოდნენ თავად-აზნაურობას, არც ეხლა ედავებიან და თვით თავად-აზნაურები რას იკადრებენ, როგორც კეთილ-შობილი ხალხი, ერთიერთმანეთში კინკლაობას, ცილებას და მაგისთანა რამეებსო".

ყველა ამის გამგონემ და მნახველმა დუშეთს ქვევით წასვლა ვეღარ გავბედე, ადგაზმე ტაიჭი ჩემი, ავმხედრდი ზედ და გავუყე იმის დენას, რადგან არაგვი ქვევით კი არა, ზევით მიდიოდა. მეც და დავეკითხე:

— რა მოგვსვლია? ეს რას გვედავ, არაგვო, ვინ შენ და ეგრე რჯულის გამოცვლა? გეკადრება დიდებულს გმირს და ვაჟკაცს?

— ეჰ, ჩემო კარგო, მეშინიან, თავადებს ბინდი მეკვრის, გულის წვა მივდის, როცა ქვევით მივდივარ, მახვედებს და ვფიქრობ, რომ შეძლო უნდა მქონდეს. თუ ისევ მთის ჰყარს არ მივმართე, ჩემი საქმე ძალიან ცუდად არის,—მიპასუხა მან და გაეჩქარა პირაღმა.

ბიჭოს, თუ შენ დაჩქქერი და დაავადდი, მე ხომ სულ ნაცარ-მტვრად ვიქცევი-მეთქი!—გთქვი ჩემთვის, შემოვკარ ცხენს და ისე გავკურცხლე ზევით და ზევით, რომ არაგვი უკან დარჩა და მომძახოდა: „მოიცა ერთად ვიაროთ". მაგრამ მე, რაც ძალი და ღონე მქონდა, მივაჭენებდი ჩემს მერანს და აღარ მინდოდა დამენახა აღარც არაგვი, აღარც პლატონისეული „скелетъ гиганта" და აღარც „прахъ людей населявшихъ" არაგვის მიდამოთი.

**მგზავრი.**

## პატარა ფელეტონი

### ორი ყვავილი

(რუსულიდან)

დიდ ჩრდილოვან მშვენიერ ბაღში ორ ბუჩქზე მშვენივრად იზრდებოდა ალისფერი და თეთრი ყვავილი: ერთსა და იმავე დღეს გაიშალა ეს ორი ნაზი ყვავილი და სცხოვრობდნენ მეგობრულად. ყოველ დილას სიხარულით მიესალმებოდნენ ხოლმე დიად მზის ამოსვლას და ყოველ ღამე ჩაეძინებოდათ მომაჯადოებელ-მომხიბლავ ვნებით სავსე ბულბულის ხმაზე, როდესაც მუქურ ვარსკვლავიანი სამხრეთის ღამე გულ-მკერდში იკრავდა ტკბილად მიძინებულ დედა-მიწას. ეს ორი ვარდი ერთი ხნისა იყო—ახალგაზრდა ქორფა, მშვენიერი. იცინოდნენ და ერთმანეთს დას უწოდებდნენ...

ერთხელ ალის-ფერმა ვარდმა შეამჩნია მეგობარს რაღაც ცვლილება: მას დაეტყო სიწყნარე და წინანდელი უენო მხიარული უდარდელობა გაუქრა.

— რა დაგემართა, რად შეიქენი ამ ბოლო დროს მწყნარი, დაფიქრებული? რად დაგეტყო მოწყენილობა? რატომ არ შეჰხარი ბრწყინვალე მზის ამოსვლას? ღამ-ღამე, გამოღვიძებისას, მესმის შენი ჩუმი ამოოხვრა, სევდიანი ამოკვნესა.

— არ ვიცი, რა დამემართა!—უპასუხა თეთრმა ვარდმა,—ყოველ ღამ, როდესაც წყვდიადი შეიპყრობს ხოლმე ჩვენს ბაღს, როდესაც ცაზე აენთება მოკამკამე ვარსკვლავთა გუნდი და ბულბული დაიწყებს თავის ნაზს სიმღერას, ქვითინს, მაშინ ჩვენს მახლობლად გამოჩნდება ხოლმე მშვენიერი ყმაწვილი. მისი დაფიქრებული გამოხედვა წყნარია, ბუნდოვანი, დაფანტულია. ემჩნევა სიტურფე, ახალგაზრდობა, მჩქეფარე ძალა. მას შემდეგ, რაც მე ის დავინახე, შემძულდა ჩვენი მყუდრო კუთხე, არ მახარებენ მე ოქროს სხივები მზისა და არ მაღელვებს გალობა ბულბულისა. უგუნურის მწუხარებით ვუცდი საღამოის ნიავს და როდესაც გავიგონებ შორიდაგ ფეხის ხმას, როდესაც იგი გაივლის და დამასაჩუქრებს, თუნდ მცირედის შეხედვით მაინც, მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება: მთელის ტანით ვთრთი და ვკანკალებ. რაღაც მიზიდავს იმისკენ, მიტაცებს, რაღაც ნეტარება მიპყრობს...

დადუმდა ვარდი და დანაღვლიანებულმა გაჰხედა ბრწყინვალე ლურჯ ცის კიდეს. მისმა მეგობარმა შეშფოთებით გადააქნია თავისი ლამაზი თავი.

— უფრთხილდი,—წარმოსთქვა მან,—მე ვიცნობ მაგ ყმაწვილს, რომელზედაც შენ ამბობ. მეც შევამჩნიე, რომ ყოველ ღამ ჩამოდის აქ... თავი დაიჭირე: როდესაც მესმის მისი ფეხის ხმა, ვცდილობ თავი შევაფარო ჩემ ჩრდილოვან ფოთლებს, რომ არ შემამჩნიოს და არ მომწყვიტოს...

არაფერი არ უპასუხა თეთრმა ვარდმა, მხოლოდ თავი დახარა... რამდენიმე ხნის შემდეგ მოწმენდილი სიცხიანი ზაფხულის დღე შეიცვალა კეთილ-სუნნელოვან გრილ საღამოთი. საიდუმლოდ აშრიალდნენ პატარა ქარის ნიავზე ბნელით მოცული ხეები ბაღში, უცხოდ გამოიყურებოდნენ იქიდან მარმარილოს ქანდაკებანი, შემოსილი სავსე მთვარის ვერცხლის ფერ სხივებით. ათას სხვა და სხვა კეთილ-სუნნელოვანებით სავსე იყო ჰაერი. იასამანის ბუჩქზე დაჰკვნესა ბულბულმა და გაჩერდა. მას უპასუხა მეორემ, მახლობლად გამოსძახა მესამემ. ისმის სიმღერა ძლიერი და დიდებული, სავსე სინარიარით და მწველი სურვილებით.

აი ამ დროს მახლობლად ხეივანში მოისმა ფეხის ხმა და მთვარით გაშუქებულ გზაზე გამოჩნდა ტანადი, ახოვანი ყმაწვილი. ალის-ფერმა ვარდმა, შეშინებულმა, სწრაფად შეაფარა თავი ფოთოლს.

— ფრთხილად, ფრთხილად!—ჩასჩურჩულა მან თავის მეგობარს და განაბა ხმა.

ზაფხულის ღამე საიდუმლოებით იყო მოცული, სავსე მომხიბლავ სიყვარულით; ძლიერის გრძნობით, ნარნარის ხმით ჰგალობდა ბულბული, ნაზად ელერსებოდა მას ნიავი. თეთრმა ვარდმა თავი ვერ შეიკავა და თრთოლვით მოიბრუნა ყმაწვილისაკენ, ყმაწვილი შესდგა. ერთი წუთი და ახალგაზრდა ვარდი სამუდამოდ მოთლილ იქმნა თავის მშობელ ბუჩქიდან.

როდესაც პირველმა დილას მზის სხივებმა გამოაღვიძეს მიძინებული ბუნება, გამოაღვიძეს ქორფა ნამით, ალის-ფერმა ვარდმა წამოჰყო თავი, რომ მისალმებოდა ამომავალ სხივოსან მზეს და დაინახა მიწაზე ცოცხალ-მკვდარი, ნახევრად დამჭკნარი თეთრი ვარდი.

— უბედურო,—წამოიძახა მან: დაიღუპულხარ!

— მშვიდობით! — სუსტად მიუგო თეთრმა ვარდმა:—დიახ, ვკვდები ძალღონით სავსე და შენ კი იცოცხლებ; ყოველ დილას კვლავ შეჰხვდები დიად მზის ამოსვლას, დასტკბები სიყვარულით მოწმენდილ ლურჯი ცის სივრცით და გაიგონებ ყოველ საღამოს ბულბულის გალობას, მაგრამ მე არა მშურს, არა მშურს, იმიტომ რომ, ის გრძნობით სავსე არა მიწიერი ნეტარება, რომელიც მე განვიცადე, როცა იგი შემეხო, მომწყვიტა, დამყნოსა და დაითრო ჩემის კეთილ სუნნელობით, შენთვის შენს დღეში გაუგებარი იქნება. შენ იცოცხლე, მე კი ვკვდები.

**ნ. ძიძიგური.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** „მედეას" წარმოდგენას მოუთმენლად ველოდით. ეს პიესა დაწერილია განსაკუთრებით ერთი როლისთვის—მედეასთვის. ჩვეულებრივ ამ პიესას დიდი ნიჭისა და ძალ-ღონის მსახიობი—ქალები სდგავენ. მართლაც და ძლიერი ნიჭია საჭირო მედეას გაპიროვნებისთვის. ამაყი, კლდესავით შეუდრეკელი, თავის უფლებების მედგარი დამცველი, ნამდვილი ადამიანი და დედა—მედეა ბრძოლის განხორციელებაა. იგი ლომივით იბრძვის აუამიანისა და დედის უფლებებისთვის, ებრძვის მამაკაცთა ძალმომრეობას, საერთო რუტინას, მონურ აზრს-შეხედულებას; ებრძვის თვით ბუნების უგრძნობელ და დაუნდობელ სტიქიასაც-კი. ებრძვის და ამ ბრძოლაში ლევს თავის ამაყ სულს. მედეა სრულის სიცოცხლით სცოცხლობს და სცენაზედაც ასეთი უნდა იყოს.

სწორე გითხრათ, გულში შიში გვქონდა, როდესაც თეატრში მივდიოდით. თუმცა პირველ დებიუტზე ჩირგაძის ასულმა საკმაო ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ მედეასთვის მაინც ვშიშობდით. სასიხარულოდ, ეს შიში არ გამართლდა. მან მედეას როლი ისე წარმოადგინა, როგორც ძნელი მოსალოდნელი იყო სულ ახლად სცენაზე შესულისთვის. დიდი მომზადება ეტყობოდა ახალგაზრდა მსახიობს. სჩანდა, რომ ღრმად ჩაჰკვირვებოდა მედეას ბუნებას, მის ხასიათს, გაეთვალისწინებინა ყოველი წვრილმანიც-კი, ყურადღება მიექცია ანტიურ ცხოვრების გარეგნულ გამოხატულებისთვისაც. იშვიათია ასეთი დაკვირვება და როლის (არა მარტო სათქმელ სიტყვების) შესწავლა ჩვენ სცენაზე. ეს გარემოება თავმდებია იმისა, რომ ნიჭთან ერთად ჩირგაძეს მუშაობის უნარიც დიდი აქვს.

ჩირგაძის ასულმა აუდიტორია ვერ გაიტაცა ძლიერად, თავ-დავიწყებამდე ვერ აღაფრთოვანა მაყურებელნი, მაგრამ ამისი მოლოდინი გადაჭარბებულ მოთხოვნილების წარდგენა იქნებოდა. ამას მსახიობი შესძლებს მხოლოდ რამდენიმე წლის დაუღალავ მუშაობის შემდეგ, როდესაც დახელოვნებულ არტისტად გადაიქცევა. დღეს-დღეობით-კი, საკმაოა ისიც, რომ ახალგაზრდა მსახიობმა არა თუ როლი არ წაახდინა, არამედ ზოგიერთ სცენაში თვალწინ დაგვიყენა ცოცხალი სურათი მედეასი. როგორც მოსალოდნელი იყო, სისუსტე გამოიხატა უფრო ძლიერ მომენტებში, სადაც ყველაზე მეტად გამოსჭვივის მედეას დევ-გმირული ბუნება და მისი კლდესავით მაგარი ხასიათი, სადაც საჭიროა უმწვერვალესი სულიერი სიძლიერე, სადაც მსახიობი სულ აღარ უნდა სჩანდეს. ასეთი მომენტი „მედეა"-ში ბევრია—მეორე მოქმედებაში ქმართან ლაპარაკის დროს, თითქმის მთელი მესამე მოქმედება, მეოთხე მოქმედებაში უკანასკნელი სცენა და სხვა. საერთოდ-კი, ვიმეორებთ, ჩირგაძის თამაშმა ჩვენ პირადად სავსებით დაგვაკმაყოფილა. მეტს პირველ ხანებში ვერც მოვთხოვთ და შეუძლებელიც არის, რომ მეტი მოგვცეს.

შარაშიძეს კვლავ ძალიან პასუხ-საგები როლი მისცეს და ისიც მეოთხე დღეს: კვირას „სამშობლო"-ში ხიმშიაშვილის როლი შეასრულა, ხოლო ხუთშაბათს „მედეა"-ში — იაზონისა. როლი სუსტად იცოდა და შეუძლებელიც იყო კარგად სცოდნოდა. დახელოვნებულ არტისტისთვის თუ სამი და ოთხი დღეა საკმაო როლის გასაცნობ-შესასწავლად, გამოუცდელ დებიუტანტს ორი და სამი კვირა უნდა მიეცეს. ასე მოუმზადებლად, გაუწრთვნელად და მალ-მალ დებიუტანტის გამოშვებას შედეგად ის მოჰყვება, რომ საზოგადოებას შეაძულებენ და ბოლოს თითონაც ადგება და სცენას სულ თავს მიანებებს...

ამ საღამოთი დაკვირვებულის თამაშით ირჩეოდნენ ქ-ნნი მდივანი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი გამყრელიძე და გედევანოვი, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი. მსახიობები ძველ ბერძნულ ტანისამოსში უხერხულად ჰგრძნობდნენ თავს, მანერებიც არ იყო იმ დროისა—ეს საერთო ნაკლია ჩვენი მსახიობებისა.

სცენის მოწყობილებას არა უშავდა რა. სტატისტებიც არ იყვნენ მაინცა და მაინც ურიგონი. წვიმა და ელვა ბუნებრივს ჰგავდა. არ ვარგოდა მხოლოდ ცეცხლი მეოთხე მოქმედებაში. იგი ჯიუტობდა: ბჟუტავდა და სასახლეს არ ედებოდა.

ხალხი საკმაო იყო.

—

**ავლაბრის თეატრი.** დღეს, 3 ოქტომბერს ავლაბრის თეატრში ქართული სცენის მოყვარენი ვ. ურუშაძის რეჟისორობით წარმოადგენენ იერეთელის 4 მოქმედებიან დრამას „ქრისტინეს".

—

**ახალი ისტორიული დრამა.** თავ. გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძეს დაუმთავრებია ახალი ისტორიული დრამა საქართველოს ცხოვრებიდან, სახელად „გიორგი მესამე". დრამის სიუჟეტი აღებულია მეფე გიორგი მესამის დროიდან, როდესაც მოხუც მეფეს ტახტზე აჰყავს თავისი ქალი თამარ მეფე. როგორც გადმოგვცეს, დრამა საინტერესოა. ავტორს გარდა ამისა, დაწერილი აქვს კიდევ დრამა „მომაკვდავნი სურათნი", რომელიც ამ 15 წლის წინად წარმოუდგენიათ და დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. ახალი დრამა ავტორს საცენზუროდ უკვე წარუდგენიათ. აზრადა აქვთ, ამავე სეზონში წარმოადგინონ.

## სასამართლო

**ასაფეთქებელი ნივთიერებანი.**

1909 წელს 29 მაისს შინდისის ქუჩაზე მთავრობის განკარგულებით, პოლიციას გაუჩხრეკია დურგლის მიხეილ დოქიძის ბინა, სადაც აღმოუჩენია რამდენიმე რევოლვერი, პატრონები, 49 არშინი პატრუქი და ბევრი სხვა და სხვა საეჭვო ნივთი და ნივთიერება, რომელიც შემდეგ, ექსპერტის გამოკვლევით, გამომდგარა ასაფეთქებელი მასალა ყუმბარების დასამზადებლად.

პოლიციის გამოკითხვაზე დოქიძეს შემდეგი განუცხადებია: ამ ხუთი დღის წინად მოვიდა ჩემთან ერთად მომუშავე ამბარცუმ მარქაროვი და მომიტანა კალათით და ქაღალდში შეხვეული ეს ნივთები შესანახად და როდესაც უარი ვუთხარი, სიკვდილით დამემუქრა და ძალით შემოიტანა ჩემს ოთახში. მას შემდეგ აღარ მინახავს. თუმცა რამდენჯერმე ვიყავი იმის ბინაზე, მაგრამ ვერა ვნახე და იმისმა მამამ-კი არ მიმიღოო.

ეს საქმე ოლქის სასამართლომ განიხილა 2 ოქტომბერს. ბრალდებული დოქიძე 49 წლისაა და იგივე გაიმეორა, რაც წინასწარ გამოძიების დროს ეთქვა. მისი მოწმენი არ გამოცხადდნენ სასამართლოში და თვით ამბარცუმ მარქაროვი კი პოლიციას ვერ უპოვნია, რადგან იგი იმ დღიდან სადღაც გადაკარგულა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ა. ა. მირაქოვი.

სასამართლომ ბრალდებული დოქიძე დამნაშავედ იცნო მთავრობის ნება დაურთველად ასაფეთქებელ და აკრძალულ ნივთიერების და იარაღის შენახვაში და მიუსაჯა ყოველივე პირადად მოპოვებულ უფლების ჩამორთმევა და სამი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

ამავე დღეს ოლქის სასამართლომ გაარჩია გადამწერ ა. ზორინის საქმე.

ზორინი მიმდინარე წელს თებერვალში მიუღიათ მე-9 ნაწილის საპოლიციო სამმართველოში უბნის ზედამხედვლის თანამდებობის გასაცნობად, მაგრამ ბოქაულს ვოკულს თვენახევრის შემდეგ დაუთხოვნია, როგორც უვარგისი ამ თანამდებობისათვის. ამის შემდეგ გენერალ-გუბერნატორს მისვლია უსახელო წერილი, ვითომ ბოქაული ვოკული და უბნის ზედამხედველი უგულავა სამ-სამ მანეთს ახდევინებდნენ ლუდხანების პატრონებს თავიანთ სასარგებლოდ.

გამოძიებამ ვერაფერი ამისთანა ვერ აღმოაჩინა, ხოლო ნაწერი-კი მიუმსგავსებიათ ზორინის ხელისათვის, რის გამო ის პასუხის გებაშიც მიუციათ. ზორინი გამოტყდა უსახელო წერილის მიწერაში. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ზორინი და მიუსაჯა ორი თვით ციხე.

**პოლიტიკური საქმეები.**

ქუთაისში 14 ოქტომბერს ტფ. სამოსამართლო პალატის სესია განიხილავს პოლიტიკურ საქმეებს. სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია საქმე კოსტა ლეკვეიშვილისა, სტ. პავლე ჯვარიშეიშვილისა და სოფლის მასწავლებელ კონსტანტინე მიქაუტაძისა. პირველს ორს ჰბრალდება 1905 წელს სამტრედიის რაიონისა, ხოლო მესამეს ლეჩხუმის რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულნი განსამართლებულ იქნებიან სასჯელთა დებულების მე-102 მუხლის ძალით.

## რუსეთი

✦ **ბურცევი.** პეტერბურგის გაზეთების სიტყვით ბურცევს გამოუქვეყნებია, რომ „ბუნდის" ცენტრალურ კომიტეტის ერთი წევრი პროვოკატორიაო. ცენტრალურ კომიტეტის ეს წევრი მიმალულა.

ამასთან ბურცევს უთქვამ პირველად სენატორ კოვალენსკისგან გავიგე, რომ ჟუჩენკო პროვოკატორი იყოო, სენატორი კოვალენსკი ერთ დროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად იყო, ამ დღეებში მან თავი მოიკლა.

✦ **შვარცის პოლიტიკა.** 23 აგვისტოს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა წესდება ებრაელების საშუალო სასწავლებლებში მიღების შესახებ. ამ წესდებით საშუალო სასწავლებლებში გარემოების მიხედვით 100 კაცზე 6, 10, 15 ებრაელი უნდა მიიღონ. სახერო განათლების მინისტრი შვარცი ამ წესდების წინააღმდეგი იყო, მიუხედავად ამისა მინისტრთა საბჭომ არ დაუჯერა შვარცს და თავისი გაიყვანა. შვარცმა აქაც ხერხი იხმარა, ეს წესდება მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოაქვეყნა—22 სექტემბერს.—ე. ი. იმ დროს, როდესაც სასწავლებლებში მოწაფეების მიღება უკვე დასრულდა. ამრიგად შვარცმა მაინც თავისი გაიტანა და წრეულს მაინც ძალაში არ შეიყვანა ეს წესდება. („რეჩი").

✦ **ქალთა უმაღლეს განათლების შესახებ.** „რეჩის" სიტყვით სახერო განათლების მინისტრს სენატორ ზავადსკისთვის (ზავადსკი ერთ დროს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო) მიუნდვია შეიმუშავოს კანონ-პროექტი ქალთა უმაღლეს კურს დამთავრებულთა შესახებ. განზრახულია საუნივერსიტეტო ქალაქებში კურსებთან დააარსონ განსაკუთრებული გამოსაცდელი კომისიები, ისე როგორც უნივერსიტეტში. ვინც ამ კომისიაში ეგზამენს ჩააბარებს მას უფლება ექნება იმასწავლებლოს საშუალო სასწავლებლებში. უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრო სრულებით არა ზრუნავს ქალთა კურსების საქმით და იურიდიულ განყოფილებების კურს დამთავრებულთათვის; კანონ-პროექტს ვიწრო პედაგოგიური მიზანი აქვს დასახული.


## განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ.—1—184)

## ფული ეგზავნება

**უკანვე ყველას, ვისაც საქონელი არ მოეწონება.**

**ინგლისური ტრიკო** მკვიდრი, ლამაზი, რბილი მატერია, წმინდა მატყლისა, ორარშინიან განისა შემდეგ ფერებისა: შავი, მუქ-ლურჯი, მიხაკის ფერი, მწვანე, რუხი; სადა ან ახალ სახებიანი, ლამ. უჯრებიანი, გძელ ხაზიანი ან წინწკლებიანი. ნაჭერი 4½ არშ. მამაკაცის სრულ კასტიუმისთვის 5 მ., 6 მ., 7 მ. 50 კ., 8 მ. 40 კაპ., 10 მ. 50 კ., 12 მ. 75 კ. და 15 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს, მას მიეცემა სარჩული **უფასოდ. მანდილოსნის „კონფეციონი"** ქალის სრულ ტანისამოსისთვის, ყოველგვარ ფერისა, სადა ან უჯრ. ან წინწკლებიანი. 8 არშ. 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ. **„ტიროლის ტილო"** ყოველგვარ საცვალისთვის, კარგი, სიგ. 20 ვერ., ნაჭერი 24 არშ. 5 მ. 50 კ., 6 მ., 6 მ. 75 კ. გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფასდადებით მანეთზე 2 კ. ემატება ციმბირში გაგზავნის დროს. ადრესი: Фабрика Т—ва Суконно-щерстяной мануфактуры, г. Лодзь № 18.

(3—დ.—1)

## ქართული ოთხ-ხმიანი საეკლესიო ხორო,

რომელიც შესდგება ოც-და-ორ კაცისა და ქალისაგან და რომელიც გალობს კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში 8 წელიწადი, მიიღებს მონაწილეობას წირვებზე, ქორწილებზე, სცენებზე, პანაშვიდებზე და მიცვალებულებზე. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კუკიის წმ. ნიკოლოზის მღვდელს ხარლამპი ნიკოლოზის ძეს ხუციშვილს. შეიძლება სამ ხმაზედაც.

(1—481—1) ლოტბარი ნ. ი. ლაბაძე.

## იყიდება

**ორი ნაჭერი** მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან, ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ. 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით 10 ს.-დე და საღამოთი 4—7 საათზე.

(2—482—1)

## ვამზადებ გაკვეთილებს

ვამზადებ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. თეატრის ქუჩა, № 10 **სტუდენტი-პოლიტეხნიკი.**

(5—1)

სასახლის ქ., თავად-აზნაურთა სახლში, კერძო სააუქციონო ზალაში

**გ ა ი ხ ს ნ ა**

## გამსესხებელი განყოფილება

მოძრავ ქონების დასაგირავებლად. ოპერაციები ხდება დილის 9-დან შუადღის 12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

(5—462—5)

**მ კ ე რ ვ ა ლ ი**

## ნ. თ. ჩემკარიოვი

ძმ. ძევველოვების თევზის სავაჭროს მაღლა მიღებულია დიდძალი მატერია ინგლისისა და რუსეთის საუკეთესო ფაბრიკებისა. შეიძლება შეკვეთა სამხედრო, სტატსკურ, სამოქალაქო უწყებათა და მოწაფეთა ტანისამოსზე. შეკვეთილს ჩემის ზედამხედველობით ამზადებენ მაღაზიები: 1) პუშკინის ქ. № 9. და მიხეილის პროსპექტი № 131.

(5—2) პატივისცემით ნ. თ. ჩემკარიოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოდგომა—ზამთარი—სეზონი 1909 და 1910 წლებისა.

# პ. ს. დოროშენოვი

**სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი. ტელეფონი № 583.**

მდგომარე სეზონისთვის მივიღეთ მრავალი **საზეზონო საქონელი** ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებისათვის; მაღაზიის სადგომი საკმაოდ გადიდებულ იქნა; შევიერთეთ აგრეთვე მირიმანოვის ყოფილი სადგომიც. ვაუწყებთ პატივცემულ მუშტარს, რომ ფირმის მთავარი კანტორა და საწყობი მოსკოვშია, ხოლო მუდმივი მაღაზიები, რომელთაც დიდ-ძალი ხალხი ეტანება, შემდეგ ქალაქებშია: ტფილისში, ბაქოში, ტაშკენტში, სამარკანდში, ასტრახანში და ურალსკში. რადგან დიდი ვაჭრობა გვაქვს და რადგან ამის გამო ფაბრიკებთან კარგ პირობებსა ვდებთ და ხელ-საყრელ ფასად ვართმევთ საქონელს, ამიტომ ჩვენს მაღაზიაში ყველა საქონლის **ფასი კონკურენციის გარეშეა**: რათა მუშტარი თითონ დარწმუნდეს ამაში, ქვემოდ ვათავსებთ მოკლე სიას საქონლისას ზოგიერთებზე ფასის აღნიშვნით.

## ვაქცევთ ყველას ყურადღებას საქონლის დიდ-ძალ ასორტიმენტს და ფასების სიიაფეს

### 1) მაუდის საქონლის განყოფილება.

ტრიკო შევიოტი კარგი თვისებისა კუპონებად, თითო $4\frac{1}{2}$ არშ. მამაკაცის სრულ კოსტიუმისთვის, კუპონი 5 მ. 40 კ.-დან.
ტრიკო კამვოლისა, მეტად მკვიდრი; სურათები გადაღებულია ინგლის. ტრიკოდან, კუპონებად, თითო $4\frac{1}{4}$ არშ. მამაკაცის სრულ კოსტიუმისთვის, კუპონი 9 მან.-დან.
ტრიკო ინგლისური, ახალი რამ მამაკაცის კოსტიუმისთვის, ინგლისის საუკეთესო ფ ბ/რიკებისა.
ტრიკო შევიოტი, განსაკუთრებით შარვლებისთვის, კუპონებად, თითო $3\frac{3}{4}$ არშ., 2 მ. 10 კ.-დან არშინი.
ჟილეტი კუპონებად აბრეშუმისა, ხავერდისა, ტრიკოსი და სხვ. დიდ-ძალი საქონელია.
დრაპი მამაკაცის პალტოებისათვის, არშინი 2 მ. 25 კაპ.-დან.
დრაპი მამაკაცის პალტოებისთვის, სულ ახალ ფასონად მომზადებული, მრავალი, ინგლისისა და რუსეთის ფაბრიკ.
დრაპი მოსწავლეთათვის, ფორმის ტანისამოსისთვის, უმაღლეს თვისებისა, სხვა და სხვა ფასისა.
მაუდი მოსწავლეთათვის, ფორმის ტანისამ., საოცრად მკვიდრი, არშინი 1—20 კ.-დან.
დიაგონალი, კასტორი, მაუდი, სამხედრო და სამოქალაქო უწყების ყველა ფორმისთვის.
სატინ-ტრიკო, კრეპი და სხვა კამგარის ქსოვილი მამაკაცის სერთუკებისა, ფრაკებისა, სმოკინგებისათვის და სხვა და სხვა ინგლისის და რუსეთის საუკეთესო ფირმებისა.
ბობრიკი, ურსი, მაუდი აქლემისა და სასალდათე, სხვა და სხვა ფასისა.
პლედები მამაკაცისა, სიგრძით 5 არშინი, საუკეთესო შევიოტისა.
საუკეთესო სარჩულები, განსაკუთრებით ბევრია პალტოებისათვის, კოსტიუმისთვის და სხვ.
მაუდი საქალე, კარგი თვისებისა, სხვა და სხვა ფერისა, არშინი 90 კ.-დან.
მაუდი საქალე; კროზე და დრადესტამი, კოხტა ქსოვილი ქალისა კოსტიუმისთვის, ახალ ფერებისა.
ფლანელი ფერადი, კარგი ღირსებისა, სხვა და სხვა ნახატით, არშინი 65 კ.-დან.
ტრიკო ქალთა კოსტიუმებისთვის და ზედა ტანისამოსისთვის, მეტად მკვიდრი, კარგად დამზადებული, არ. 1—10 კ.
შევიოტი ქალთა ტანისამოსისათვის; მაიარის მატყლისა, არშ. 80 კ.-დან
პლიუში, კოტიკი შავი, ქალის ზედა ტანისამოსისთვის, ინგლისისა და რუსეთის საუკეთესო ფაბრიკებისა.
**ახალი რამ!** დრაპი, ფურიური და მოდის სხვა ქსოვილი, მრავალის ქალების პალტოებისათვის, საკითვის, ქრემბ მანტოსთვის, წამოსასხამისთვის და სხვ.
პლიუში სასარჩულე, მოხერხებულად დამზადებულია, ისე რომ კაცს ბეწვიანი ტყავი ექნება, მეტად სარფაა სარჩულ.
ბუმბულის მატერია და პლიუში სპეციალურად ბავშვთა ტანისამოსისთვის.
მასალისთვის მრავლად არის: ხავერდი საყელოებისათვის, საკანტე მაუდი, სასარჩულე და კლეენკა, ბამბა აბრეშუმისა, ბუმბულისა, მატყლისა და ბამბისა, ვატინა, არშინობით.
სასულიერო პირთა ანაფორებისა და კაბებისათვის მრავლად არის სპეციალურად დამზადებული, მეტად მკვიდრი ქსოვილი სამაუდე და სამატყლე მატერიები.

### 2) განყოფილება აბრეშუმეულისა და საბალო მოდის მატერიებისა.

ახალი! ტანისამოსი საბალე, დამზადებული, აბრეშუმის მატერიებისა, ახალი ფერისა, პარიზის საუკეთესო მოდელებისა.
ახალი! ტანისამოსი საბალე, დამზადებული, კოხტად ნაკერი ტიულზე, მარკიზეტზე, ფილეზე და მოდის სხ. ქსოვილზე.
ახალი! ტანისამოსი ბალებისა, თეატრებისა, კონცერტებისა და საღამოებისთვის, კოხტად შემუშავებული ტიულზე ხელოვნურ მარგალიტით, ბუსერით და სხვათი.
ახალი! აბრეშუმის მატერიები საუცხოვოდ დამზადებული, სულ ახალ ფერისა.
ახალი! აბრეშუმი მატყლით, საფასონოდ კოხტად დამზადებული, სხვა და სხვა ფერისა.
აბრეშუმი მატყლით, საუკეთესო ღირსებისა, არშინი 1 მ. 25 კ.-დან.
ახალი! აბრეშუმის მატერიები მეტად კოხტად დამზადებული ხალათებისა და პერანგებისათვის კუპონებად, სხვა და სხვა ფერისა.
**მრავლად არის** აბრეშუმ. მატერიები: კრეპ-დეშინი, მარაბუ, ეკლესი, ატამანი, ფაი, სოლეილი, ტრავერი, დამა, სატინ-მერველე, სატინ-იდ, ლალი, ლიუიზინი, ლიბერტი, ტაფტა, გალიასი, ბურსა, კაპაუსი, ფულიარი, მუსლინი, აბრეშუმის ტილო, ფანზა, ფლორენტინი, ატლასი, სიურა, რადამესი და სხვ.
ხავერდი და პან-ხავერდი; სპეციალურად მოსამკობად მრავალი ყვავილები.
ბელვეტ ინგლისური, უმაღლესი ხარისხისა, ინგლისის საუკეთესო ფაბრიკებისა.

### 3) განყოფილება შალეულობისა.

ახალი! ქალთა კოსტიუმისთვის შევიოტი მაგერის მატყლისა, მრავალი ახალი ყვავილი სხვა და სხვა ფერისა
ახალი! შალის მატერიები ტრიკოსებს დამზადებული ქალი კოსტიუმებისათვის ინგლის. და რუს. სა კეთ. ფაბრიკ.
ახალი! შალის მატერიები კოხტად გაკეთებული ახალი ფერისა.
შალის მატერიები საფასონოდ დამზადებული სხვა და სხვა ფერისა, არშინი 40 კ.-დან.
შალის მატერიები მოსწავლეთა ფორმებისთვის, მეტად მაგარი, არშინი 60 კ. დან.
შალის მატერიები სპეციალურად იუბკებისათვის, ინგლისურ საქონლისგან დამზადებული, მეტად მკვიდრი.
შალის მატერიები ახლად დამზადებული, ატამანი, ფაი, დიაგონალი, ტრავერი და სხვ. მოდის ქსოვილი ყოველ-გვარ ფერისა.
ახალი! შალის მატერიები, სპეციალურად დამზადებული ხალათებისა და პერანგებისათვის, მეტად კოხტა, მრავალ ნახატით.
შალის მატერიები მოტლანდიურ სურათებით კაპოტებისა, კოფტებისა და ბავშვთა ტანისამოსისთვის, არშინი 55 კ.
შალის მატერიები მრავლად; ქიშმირი ყოველგვარი, ტიბეტი, სატანი, ბეჟი, კამლოტი, სატინა, ლაუნტენისი, ვუალი, მუსლინი, ალპაგა და სხვა.

### 4) განყოფილება ბამბის ფერად ქსოვილებისა.

ბამბაზია უმაღლეს ხარისხისა სხვა და სხვა ფერისა და ნახატისა, არშინი 16 კ.-დან.
ბამბაზია ფლანელი, მეტად თბილი, მრავალ ნახატით, არშინი 23 კ.-დან.
ბამბაზია-შევიოტი ეგვიპტეს ბამბისა, მეტად მკვიდრი, არშინი 24 კ.-დან.
ბამბაზია ესკიმო და პეტიდრა, რომელიც შალის ფლანელის მაგიერობას სწევს.
ბამბაზია ხელით დამზადებული, ნახატები გადაღებულია საზღვარ-გარეთის ძვირფას მატერიებიდან, არშინი 28 კ.
ბამბაზია მოტლანდიურ ნახატებით, მეტად ლამაზი და კოხტა ქსოვილი, რეცხვის შემდეგ არა ხუნდება, არშინი 36 კ.
ბამბაზია ბაიკა და ვიგონი მეტად მკვიდრი და თბილი, განიერი, რომელიც ბაიკისა და ვიგონის მაგიერობასა სწევს, არშინი 45 კ.-დან.
ბამბაზია პიკე, თეთრი, კარგი ღირსებისა, რუსისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებისა.
ბამბაზია თეთრი, საუკეთესო თვისებისა, სხვა და სხვა განისა.
აქსფორდი, მკვიდრი ქსოვილი სხვა და სხვა სამცვლისთვის, არშინი 12 კ.-დან.
ზეფირი, შემიზი, ხოლსტინკა, ტილო ფერადი და სხვა ქსოვილი საცვლისთვის
სატინი სხვა და სხვა ნაირი რუსეთის საუკეთესო ფაბრიკებისა.
ბატისტი საცვლებისთვის სხვა და სხვა ფერისა.
ფულიარი, მუსლინი, და სხვა ქსოვილი.
მაუდი ბამბისა, ტრიკო, ტფილსი, ალპაგა და სხვა საკოსტ. მატერიები.
ტიკი ბენკისა და ბამბის მატერიების, ტიუფიაკების და სხვა საჭიროებისათვის.

**ამ განყოფილებასთან მრავალდ არის:**

მოსასხვევები ქიშმირისა და ბეჟისა სხვა და სხვა ზომისა.
მოსასხვევები ქსოვილი. ორენბურგისა, პენზის, ციმბირისა და ურალის შალები, ბუმბულის, მაგერის, ტრიკოს, ტილოს, დრაპისა და სხვ.
მოსასხვევი-პლედები მატყლისა, კოხტად დამზადებულ, საუცხოვო ნახატებით, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბ.
**ამავე განყოფილებაში მრავლად არის** საზამთრო საბნები პლიუშისა, მოკტონიაკოვისა, ბაიკისა, საფასო, დრაპისა, ურსისა, ვერცხლის ფერი და სხვ. ყოველგვარ ზომისა და ფასისა.

საბნები ბამბისა, მკვიდრი, დიდი, ცალი 2 მ.-დან.
საბნები ბავშვებისა ყოველ გვარ ზომისა.

### 5) განყოფილება ტილოსი, სტოლის თეთრეულისა და სპეციალურად ბამბის ქსოვილისა.

ტილო იაროსლავურ წმინდა ქსელისა ყოველ გვარ საცვლისთვის, არშინი 25 კ.-დან.
ტილო საზეწრე წმინდა ქსელისა $3\frac{1}{2}$, 3, 2-ნახ, 2 და 1-ნახ. არშინის სიგანისა.
ტილო სლავიანური ბამბისა საცვლებისთვის, არშინი 14 კ.-დან.
დეკოსი, მეტად გამოსაყენებელი ქსოვილი ქალის და ბავშვის საცვლისთვის, ცალი 30 არშ. 3 მ 75 კ.
მადეპოლამი კარგი ღირსებისა ჩვეულებრივ განისა, არშინი 13-ნახ. კ.-დან.
მადეპოლამი უმაღლეს ღირსებისა, მეტად განიერი, ცალი 30 არშ. 5 მ. 50 კ.
საკალხონო, მატერია, ფასონის ქსოვილი, მეტად მკვიდრი, არშინი 25 კ.-დან.
ზეწრები წითელ ზოლ შემოვლებული, ბამბისა, ცალი 95 კ.-დან.
დიდძალი სხვა და სხვა საქონელი: შიფონი, კრეაზი, ნანსუკი საცვლებისთვის, კარგად შემუშავებული, ჩრეზი, დომესტიკი, ბატისტი, ტვისტი, ფასონე, დრელი, ტიროლური და პოლონური ტილო, პოლონია და სხვ.
სტოლის თეთრეული 36, 24, 18, 12 და ექვს ადამიანისთვის საუკეთესო.
საყავე და საჩაიე თეთრეული 24, 18, 12 და 6 ადამიანისთვის, კოხტა.
სტოლის საფენი და სადესერტო ყოველ გვარ ზომისა.
საფენი საყავე და საჩაიე, კოხტად დამზადებული.
სალფეტკები სასადილო წმინდა ქსელისა, მეტად კარგი ღირსებისა, 12 ცალი 2 მ. 60 კ.-დან.
სტოლის საფენი ტილო წმინდა ქსელისა, მაღალ ღირსებისა, 3-ნახ, 3, 2-ნახ., 2 და 1 ნახ. არშ სიგან. არშ. 45 კ.-დან.
ტილო საჩაე და სამზარეულო ჭურჭლის საწმენდად, არშინი 8 კ.-დან.
პირსახოცები საუკეთესო, 12 ცალი 4 მ.-დან.
ზეწრები და პირსახოცები ხაოიანი და სხვა გვარი.
ცხვირსახოცები, ქსელ ნარევ ბატისტისა, ტილოსი, ბატისტისა, კემბრიკისა და დეკოსისა, 12 ცალი 1 მ. 10 კ.-დან
საბნები საზაფხულო, პიკისა, პარიული, ფრანგული და სხვ. სხვა და სხვა ზომისა.

### 6) განყოფილება ქალის დამზადებულ საცვლისა.

პერანგები ქარგ შერტინგისა, ცალი 80 კ.-დან.
პერანგები მადეპოლამის და შიფონისა, ნაკერი, ცალი 1 მ. 25 კ.-დან.
პერანგები ბატისტისა ნანსუკისა და სხვა ქსოვილისა, შვეიცარიულის ნაკერით და კრუჟევებით.
პერანგები ტილოსი საზღვარ-გარეთულისი და რუსულის ნაკერით, ცალი 2 მ. 50 კ.-დან.
პერანგები ღამის, ტილოსი, შიფონისა, ნანსუკისა, დეკოსისა, მად პოლამისა და შერტინგისა, მშვენივრად მორთული, სხვა და სხვა ფასისა.
კოფთები საუცხოვო შერტინგისა, მეტად მკვიდრი.
კოფთები მადეპოლამისა, შიფონისა, ბატისტისა, ნანსუკისა, საუცხოვოდ ნაკერი, კოხტა მუშაობა.
კოფთები ტილოსი, შვეიცარიული ნაკერი.
პერანგის ამხანაგები კემბრიკისა, ცალი 85 კ.-დან.
პერანგის ამხანაგები შიფონისა, ნანსუკისა და მადეპოლამისა, ცალი 1 მ. 25 კ.-დან.
პერანგის ამხანაგები ტილოსი და კლერ-ბატისტისა, საუცხოვო ნაკერი, სხვა და სხვა ფასისა.
იუბკები მადეპოლამისა, შიფონისა. ვიქტორით დეკოსისა და შერტინგისა კრუჟევებით.
იუბკები აბრეშუმის კანაუსის და ბურსისა პარიზულ მოდელით, საუცხოვოდ ნაკერი.
იუბკები ალპაგისა და მუარისა, ცალი 1 მ. 30 კ.-დან.
იუბკები ზევითა საუკეთესო და მოდის მაუდისა და შალის მატერიებისა, დამზადებული პარიზის უკანასკნელ მოდაზე.
სალოგინე თეთრეული და ბალიშის პირები.
ბუმბული ბატისა და გედისა, ქიმიურად გაწმენდილი, სხვა და სხვა ზომის ბალიშებში.
სრული მზითევი დანიშნულთათვის 100 მან.-დან 10,000 მანეთამდე.
ხელთათმანები ლაიკისა, ზამშისა, ფილ-დეკოსისა, მატყლისა, ქსოვილი და სხვ.

### 7) განყოფილება მამაკაცის დამზადებულ საცვლისა.

პერანგები კრახმალისა ყოველ გვარ ფასონისა.
პერანგები უსაყელო, გული ინგლისის პიკესი აქვს.
პერანგები უსაყელო, ფერად, ინგლისურ და რუსულ ზეფირისა.
პერანგები ღამისა ტილოსი, წმინდა სელისა, მეტად მკვიდრი.
პერანგები ღამისა სპეციალურად ბამბისა, მეტად მკვიდრ მატერიისა სხვა და სხვა ფერისა.
პერანგები ფანტაზია და რბილი ფერადი, გული ჩესუნჩისა აქვს.
პერანგის ამხანაგები მალიან მკვიდრ მატერიისა.
პერანგის ამხანაგები წმინდა სელის ტილოსი კრეაზი რომელიც მალიან მკვიდრია.
საზელიები ტილოსი, დეკოსისა და სხვ.
მანჟეტები, საყელოები ახალ ფასონებისა, გალსტუკები, ზაპონკები და ხელთათმანები.
საცვალი ბავშვისა სხვა და სხვა მატერიისა.
მაღაზიაში, მამაკაცის და დედაკაცის განყოფილებებში, შეიძლება შეკვეთა ყოველ გვარ საცვლისა. სხვა და სხვა მატერიისა. საცვალი დამზადდება ყოველ გვარ ფასონისა.

### 8) განყოფილება ტრიკოტაჟისა და ქსოვილ ნაწარმოებისა.

ფუფაიკები მამაკაცისა პროფ. ეგერის სისტემისა (პატენტიანი).
ფუფაიკები მამაკაცისა მატყლის, ფილდეკოსის და ბამბისა.
პერანგის ამხანაგები მამაკაცისა მატყლისა და ბუმბულისა..
პერანგის ამხანაგები მამაკაცისა ფილდეკოსის, მაფის და ბამბისა.
ფუფაიკები ქალისა პროფ. ეგერის სისტემისა (პატენტიანი).
ფუფაიკები და პერანგის ამხანაგები ქალისა, მატყლისა.
პერანგის ბადისა მამაკაცისათვის ფილდეკოსისა სხვა და სხვანაირი
კურტკები და ფინჯაკები სანადირო, ბუმბულისა და მატყლისა.
გამაშები მატყლისა მამაკაცისთვის, დედაკაცებისთვის და ბავშვებისთვის.
წინდები მატყლისა, ბუმბულისა და ანგორის მატყლისა.
ჩულქები მატყლისა, ქალისთვის და ბავშვისთვის, სხვა და სხვანაირი.
იუბკები მატყლისა, ხელით ნაქსოვი და სხვა.
ჩულქები ქალისა საზღვარ-გარეთელი შავი, 12 ცალი 4 მ. 80 კ.-დან.
ჩულქები ბავშვისა, ხელით ნაქსოვი, 12 ცალი 2 მ. 40 კ.-დან.
ჩულქები ქალისა, ბავშვისა, წინდები კაცისა და ბავშვისა, ფანტაზია ყოველგვარ ფერისა.
ხელთათმანები მატყლისა, ქსოვილი კაცისა, ქალისა და ბავშვისა.
კაპორები ქალისა და ბავშვისა.

### 9) განყოფილება სამებელო მატერიებისა.

მრავლად არის სამებელო მატერიები, აბრეშუმის კამჩიკები, შტორები, ჯუტები, დრაკონები, რიპსები, პლუშტრები და სხვა.
პორტიერები პლუშისა, მატყლისა, გობელინისა, ჯუტისა, ალჟირული, აღმოსავლეთური და სხვ.
ხავერდის ხალიჩები საუკეთესო სხვა და სხვა ტანისა.
სუფრები სულ ახალი ფასონისა სხვა და სხვა ფერისა.
ტიული გარდინისა მრავალი.
ოთახებში დასაგები ბილიკები ხავერდისა, ჯუტის, თოკისა და სხვ.
ყოველგვარი სამებელო არშია და მებელის სხვა მოსართავი.

## მუდამ ჟამს მოდის ახალ-ახალი საქონელი ყველა განყოფილებისათვის. საქონლის სიკარგისთვის:

## ფირმა პასუხს აგებს და სრულ გარანტიას იძლევა

**შეიძლება შემოკვეთა საქონლისა სახაზინო და კერძო დაწესებულებისათვის ამისთვის ცალკე პირობებია.**

ქალაქ გარეშე მუშტარს საქონელი ეგზავნება ფას-დადებით; ჩაწყობა ფირმის ხარჯით; საქონლის ნიმუშები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

P. S. **ბაქოში ამ წლის 1 სექტემბრიდან ფირმამ დაიქირავა დიდი საუცხოვო სადგომი თ ა გ ი ე ვ ი ს პასაჟში,** ამასთან საქონელი ყველა ცხრა განყოფილებისა იქაც მრავლად არის.

**პ. ს. დოროშენოვი.**

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.